



ოთხოვრის მკვლევები კვლავ დაუსჯელი არიან

დღეს, გიგა ოთხოვრის მკვლელობიდან 4 წელი გავიდა. გიგა 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან, ხურჩა ნაბაკევის გამშვებ პუნქტთან მოკლეს ე.წ. აფხაზმა მესაზღვრეებმა. გიგას მკვლელობის შემდეგ აფხაზეთის დე-ფაქტო სამხედრო პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის მოტივით მალევე შეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხოვრის მკვლელობაში დამნაშავე პირთა ვინაობა ცნობილია, დღემდე არ მომხდარა დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ მათი პასუხისმგებლობაში მიცემა და დასჯა. გიგა ოთხოვრის მკვლელობაზე და ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებაზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, რადგან აფხაზეთზე ეფექტიან კონტროლს სწორედ რუსეთი ახორციელებს.

ოთხოვრის სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპული

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სასამართლო [განხილავს](#). ოთხოზორიას ოჯახის წევრთა ინტერესებს საია და EHRAC იცავენ. ევროპულ სასამართლოში მხარეებს შორის შიდა კომუნიკაცია უკვე დასრულდა და გადანაცვებილების გამოცხადებას [ველოდებით](#). ოთხოზორიას საქმეს პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს, რადგან სასამართლოს მოუწევს იმსჯელოს, რამდენად ახორციელებს რუსეთი ეფექტიან კონტროლს აფხაზეთზე და რამდენად ეკისრება პასუხისმგებლობა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებზე. საქმის წარმატებით დამთავრებას ასევე არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ოთხოზორიას ოჯახის წევრებისთვის მათი დარღვეული უფლების და სამართლიანობის აღდგენისთვის.

ოთხოზორიას საქმე ასევე ნათლად წარმოაჩენს ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ საგანგაშო ვითარებას ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით.